ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 4/ბ
(CPV – 64211000; 64211100; 64211200)

ქ.თბილისი „20" „დეკემბერი" 2019 წ.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **ლაშა ჯინჯიხაძის** სახით. იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. № 15ª მე–3 სართული და მეორეს მხრივ **სს სილქნეტი** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის **მალხაზ ჟორჟიკაშვილის** სახით. იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. №95.

1. ხელშეკრულების ღირებულება

1.1 შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და „საკომუნიკაციო მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, მისი საჭიროებისათვის სატელეკომუნიკაციო მომსახურების შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება **6'800.00** (ექვსი ათას რვაასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

1.2 ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

2.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1. გაწეული მომსახურების ხარისხის, მოცულობისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2. შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა, მის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

2.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

2.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის მოცულობა, ერთეულის ფასი, მოცემულია ხელშეკრულების დანართში №1, რომლიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დანართში №1 გათვალისწინებული პირობების დაცვით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება კალენდარული თვეში ერთხელ, კალენდარული თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. ყოველი საანგარიშო თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას (თუ მიმწოდებელი არ არის დ.ღ.გ.–ს გადამხდელი წარმოადგენს ცნობას სსიპ შემოსავლების სამსახურიდან რომ ის არ არის დ.ღ.გ.–ს გადამხდელი) დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

6.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.

6.4 დაფინანსების წყარო: **2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (კოდი 27 02 05).**

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. შემსყიდველ ორგანიზაციას გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.1.2. მიმწოდებლის მიზეზით სატელეფონო ნომერზე სატელეფონო კავშირის შეწყვეტის შემთხვევაში, არ დააკისროს შემსყიდველ ორგანიზაციას სააბონენტო გადასახადი სატელეფონო
კავშირის შეწყვეტის დროის პროპორციულად;

7.1.3. უზრუნველყოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული პარამეტრებით,
ხარისხიანი სატელეფონო კავშირი;

7.1.4. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას გაწეული მომსახურების ანგარიში;

7.1.5. შეუფერხებლად და უწყვეტად უზრუნველყოს სატელეფონო კავშირი;

7.1.6. დადგენილი წესების მიხედვით და დაწესებულ ვადებში აღმოფხვრას მომსახურების გაწევის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები;
7.1.7. 5 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს წერილობით შემოსული შემსყიდველი ორგანიზაციის პრეტენზია და გასცეს დასაბუთებული წერილობითი პასუხი;
7.1.8. უზრუნველყოს შემსყიდველი ორგანიზაცია შესაძლებლობით, მიიღოს ინფორმაცია მისი დავალიანების ოდენობის შესახებ;
7.1.9. შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას აცნობოს შემსყიდველ ორგანიზაციას ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
7.1.10. მისი მიზეზით გამოწვეული დაზიანებები აღმოფხვრას მაგისტრალური კაბელის დაზიანების შემთხვევაში 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, სხვა სახის დაზიანების შემთხვევაში 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
7.1.11. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
7.1.12. მოახდინოს გაწეული მომსახურების დეტალური ინფორმაციული უზრუნველყოფა;
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
7.2.1. არ მოახდინოს ტელეფონის თვითნებური გადატანა ან არამიზნობრივად დატვირთვა;
7.2.2. არ მოახდინოს არასერტიფიცირებული მოწყობილებების არალეგალური მიერთება სატელეფონო წყვილზე;
7.2.3 შეატყობინოს მიმწოდებელს მესამე პირების მიერ მისივე სატელეფონო ქსელზე არასანქციონირებული მიერთებების შესახებ, თუ აღნიშნულის თაობაზე მისთვის გახდება ცნობილი;
7.2.4. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს `მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება;
7.2.5. დროულად განიხილოს `მიმწოდებლის~ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2.6. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება;
8.2. „მიმწოდებელი” არ არის ვალდებული „შემსყიდველის” ქმედებით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში შეაკეთოს მის ოფისში არსებული შიდა ქსელი. დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ინდივიდუალურად დაზიანებიდან გამომდინარე.
8.3. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.3.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.3.2. თავისი შეხედულებისამებრ საქართველოს კომუნიკაციების ერუვნული კომისიის 2015 წლის 20 ოქტომბრის №625/15 გადაწყვეტილების გათვალისწინებით ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქედი კანონმდებლობით აკრძალულისა.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა;
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;
10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება,

აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0, 2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

16. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“	**სს „სილქნეტი“**
ქ. თბილისი,თამარაშვილის ქ.№ 15ა	ქ. თბილისი წინამძღვრიშვილის ქ. №95
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „თი ბი სი ბანკი”
კოდი №TRESGE22	კოდი № TBCBGE22
ა/ა №GE24NB033010002001650 22	ა/ა № GE97TB7404936070100004
ს/კ №205169592	ს/კ 204566978

Lasha Jinjikhadze

Digitally signed by Lasha Jinjikhadze
Date: 2019.12.20 16:06:35 +04'00'

Silknet JSC

Digitally signed by Silknet JSC
Date: 2019.12.20 16:23:52 +04'00'

დანართი #1

VOIP სატელეფონო ნომერი 2390588 (ცხელი ხაზი 116006)

(თბილისი, თამარაშვილის ქ.15ა)

მომსახურების საფასური	**ღირებულება ლარში**
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი VOIP სერიულ ნომერზე 2390588	**30.00**
ყოველთვიური სააბონენტო 3 VOIP არხზე	**30.00**
1 წუთი ზარის საფასური:	
ადგილობრივი ზარი კომპანიის ქსელში	ულიმიტო
საქალაქთაშორისო ზარი კომპანიის ქსელში	ულიმიტო
ზარი კომპანიის მობილურ ქსელში (570 XXX XXX)	ულიმიტო
ადგილობრივი ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან და უსადენო ქსელში (შპს "ახალი ქსელები" (თბილისი და ქუთაისი); შპს „ახტელი"; შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია"; შპს „მეტაკომი"; შპს „მაგთიკომი" (მაგთიფიქსი))	0.04
ადგილობრივი ზარი ყველა სხვა ოპერატორის ფიქსირებულ სადენიან ქსელში	0.06
ადგილობრივი ზარი შპს „Voxbone"-ს, შპს „არკომის"; შპს „ნიუ-ვიჟენის" და შპს „ფრენდის" ფიქსირებულ ქსელში	0.06
საქალაქთაშორისო ზარი სხვა ოპერატორის ფიქსირებული სადენიან ქსელში (გარდა შპს „მაგთიკომის" ზუგდიდის ნუმერაციის მიმართულებისა)	0.06
ზარი შპს „გლობალ სელის", ზარი შპს „ქართული სატელეფონო კომპანია ჯტს"-ს, შპს „ჯიმობაილის" და შპს „ფრენდის" მობილურ ქსელში	0.21
ზარი სხვა ოპერატორების მობილურ ქსელში, ასევე სს „სილქნეტის" მობილურ ქსელში (გარდა 570 XXX XXX-სა)	0.21

VOIP სატელეფონო ნომერი 116006

ძირითადი ტარიფები	ღირებულებალარში
ყოველთვიურისააბონენტოგადასახადიძირითად VOIP სატელეფონონომერზე 116006	30.00
1 წუთიზარისღირებულება:	
შემომავალი ზარი ადგილობრივისატელეფონოსაუბრები (შიდალოკალური) მიმწოდებლისაბონენტებთან	უფასო
შემომავალი ზარი ადგილობრივისატელეფონოსაუბრები (შიდალოკალური) სხვაქსელისაბონენტებთან	0.08
შემომავალი ზარი მობილურისატელეფონოქსელის აბონენტებთანკავშირი	0.18
შემომავალი ზარი საქალაქთაშორისოსაუბრებისხვაფიქსირებულიქსელისაბონენტებთან	0.08
შემომავალი ზარი მობილურისატელეფონოქსელის გლობალსელის აბონენტებთანკავშირი	0.32

მიწოდების ვადები

მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს უწყვეტად, 2020 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მომსახურების საფასურის გადახდის პირობა:

1. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე;
2. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები:

1. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;
2. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული გადახდის პირობების დარღვევის შემთხვევაში, გადახდის თარიღის მომდევნო დღიდან ან/და ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება ცალმხრივად (იზღუდება გამავალი ზარი);
3. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული **2 (ორი)** თვის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული **ერთი** თვე) განმავლობაში, აბონენტს ერიცხება სააბონენტო გადასახდელი და დავალიანების გადაუხდელობის ყოველთვიური ჯარიმა;
4. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული **2 (ორი)** თვის გასვლისთანავე, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (ეზღუდება შემავალი ზარიც);
5. ორმხრივად შეზღუდვიდან **სრული 1 (ერთი)** თვის განმავლობაში აბონენტს ენახება სააბონენტო ნომერი და აღნიშნულ პერიოდში, დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, შესაძლებელია მომსახურების აღდგენა ყოველგვარი დამატებითი გადასახდელის გარეშე.
6. ორმხრივად შეზღუდვის პერიოდში აბონენტს არ ერიცხება სააბონენტო გადასახდელი.
7. დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან **სრული 1 (ერთი)** თვის ამოწურვის შესაბამისი თვის მომდენო თვის **1 (პირველი)** რიცხვიდან ხელშეკრულება წყდება და კომპანია იტოვებს სააბონენტო ნომრის გასხვისების უფლებას.
8. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე